ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#13

8 ნოემბერი 2023 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა:

თორნიკე გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ბიძინა ჯაბიძე
თეა გოგნაძე
ირინა ტყეშელაშვილი
სიმონ ჭოლოკავა
გიორგი კოტორეიშვილი
ზაზა ზივზივაძე
ალექსანდრე ფახურიძე
ნინო კვირიკაძე
კახა კოხოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილის თანაშემწე: მარიამ მაშანეიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გაჩეჩილაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე გაჩეჩილაძემ განცხადა, რომ არის უმეტესად გზის საპროექტო სამუშაოები ჩასატარებელი და ვერ ხერხდება, მაგალითად სოფ. როხში ცაგარეიშვილების უბანში გასაკეთებელი გზის სამუშაოების დაწყება ვერ მოხერხდა

კომისიის წევრი: სიმონ ჭოლოკავამ განაცხადა, რომ არის პროექტები სოფლებში გასაკეთებელი ასევე განსახორცილებელია სამუშაოები, რომლებიც დაზიანდა სტიქიის შედეგად

კომისიის წევრი: ალეკო ფახურიძემ განაცხადა, რომ სოფ. ვარციხეში არ განხორციელებულა რამოდენიმე წელიწადია ინფრასტრუქტურული პროექტები რაც მნიშვნელოვანია და ყურადღება მისაქცევია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ განაცახადა, რომ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან, შესაძლებელია ის მივიჩნიოთ უფრო მნიშვნელოვნად, რომელსაც თქვენ კომისია ჩათვლის საჭიროდ არ ააქვს ნომრის რიგითობას მნიშვნელობა და ამის შემდგომ თქვენი თანხმობის საფუძველზე მოხდება თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორცილება.

სხდომა დატოვა: ნინო კვირიკაძემ

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე გაჩეჩილაძემ განცხადა, რომ მაქვს წინადადება რომ წარმოდგენილ პროექტებს თქვენი კომისიის წევრების თანხმობით დაემატოს კიდევ პროექტები და ჯამში გახდეს განსახორციელებელი 70პროექტი ამ წინადადების და მოსაზრების საფუძველზე მოხდეს კენჭისყრა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე გაჩეჩილაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ. თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი წინადადების და მოსაზრების საფუძველზე მოხდეს კენჭისყრა და საკითხი მიიღოს კომისიამ

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვის და პროექტების კორდინირების განყოფილების ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი წინადადების და მოსაზრების თანხმობით მიიღო კომისიამ

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 9

წინააღმდეგი:0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე : თორნიკე გაჩეჩილაძე